მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი
(პირველი ვარიანტი)

მცხეთა

2024 წელი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

მცხეთის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით - კასპის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით - გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები და ქალაქი თბილისი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ფართობია 805 კმ². მუნიციპალური და რეგიონის ცენტრია - ქალაქი მცხეთა.

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში. იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია ძირითადად დაბალ და საშუალო მთიანია, სიმაღლე ზღვის დონიდან 670-1600 მ-ის ფარგლებში იცვლება. მცირე მიწიანობის მიუხედავად მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ბუნებრივი პირობების მიხედვით, მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაედინება საქართველოს უმნიშვნელოვანესი მდინარე მტკვარი. მუნიციპალიტეტის ფარგლებში მტკვრის მთავარი შენაკადებია: ხეკორძულა, არაგვი და დიღმისწყალი. მცხეთის მუნიციპალიტეტის დასავლეთ საზღვართან ჩამოედინება მდინარე ქსანი. მუნიციპალიტეტში არის ტბებიც, მოიპოვება არტეზიული წყლებიც.

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში. ტყესა და ბუჩქნარს უკავია მთელი ტერიტორიის მხოლოდ 17 %. თუმცა ფლორა მრავალფეროვანია. მდიდარია მუნიციპალიტეტის ფაუნა. ფაუნის სიმდიდრეს უპირველეს ყოვლისა განაპირობებს საგურამოს ნაკრძალი, რომელიც დაარსდა 1946 წელს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენს 52,2 ათას მაცხოვრებელს, მ.შ. 26,7 ათასი ქალი და 25.9 ათასი კაცი.

ქალაქი მცხეთა მუნიციპალური ცენტრია და მისი მოსახლეობა 7478 მაცხოვრებელია, ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 14.3 %. მუნიციპალიტეტში 9900 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს. დიდი სოფლებია წეროვანი (8,2 ათასი) და მუხრანი (6,2 ათასი).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 27 წევრისგან. მათგან 18 არჩეულია პროპორციული, ხოლო 9 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე. საკრებულოში შექმნილია 2 ფრაქცია და 5 კომისია: სამანდატო კომისია, სოციალურ საკითხთა კომისია, საფინასო-საბიუჯეტო კომისია, ქონების მართვის კომისია, ინფრასტრუქტურის კომისია.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი და 63 დასახლებული პუნქტი შედის, ქალაქი მცხეთა და სოფლები: არაშენდა, აღდგომლიანთკარი, ახალდაბა, ახალი ნიჩბისი, ახალსოფელი, ახალუბანი, ბევრეთი, ბიწმენდი, ბურიანი, გალავანი, გოროვანი, ერედა, ვაზიანი, ვარდისუბანი, ზაქარო, ზემო ნიჩბისი, თეზამი, კარსანი, კევლიანი, კოტორაანთკარი, ლამი, ლელობი, ლელუბანი, ლისი, მამკოდა, მისაქციელი, მსხალდიდი, მუხათგვერდი, მუხათწყარო, მუხრანი, მშრალხევი, ნავდარაანთკარი, ნავაზი, ნატახტარი, ნაფეტვრები, პატარა ქანდა, საგურამო, სათოვლე, სასხორი, სხალტბა, ტაბარუკი, უფურუთი, ფრეზეთი, ქვემო ლისი, ქვემო ნიჩბისი, ქსანი, ქსოვრისი, შანკევანი, ჩარდახი, ციხისძირი, ცხვარიჭამია, ძალანთხევი, ძალისი, ძეგვი, ძველი ქანდა, წეროვანი, წილკანი, წინამძღვიანთკარი, წიწამური, წოდორეთი, ჭილაანთკარი, ხეკორძი, ჯიღაურა; მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს სოფლებს: უფურეთი, ჭილაანთკარი, მუხათწყარო, ტაბარუკი, ბევრეთი, მსხალდიდი, ლელობი, ახალდაბა, შანკევანი, ცხვარიჭამია, ლელუბანი, თეზამი, კევლიანი, სათოვლე (ნაბაღრები), სხალტბა.

მცხეთის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 22 ადმინისტრაციული ერთეულად, ესენია: ქალაქ მცხეთის და სოფლების - საგურამო, მუხრანი, ვაზიანი, წეროვანი, ძალისი, წილკანი, მისაქციელი, ნატახტარი, ქსანი, ციხისძირი, აღდგომლიანთკარი, ქსოვრისი, გალავანი, ცხვარიჭამია, ძეგვი, ნიჩბისი, ლისი, ჯიღაურა, ძველი ქანდა, ნავაზი, ნავდარაანთკარი - ადმინისტრაციული ერთეულები.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მთავარი ღირსშესანიშნაობებია: ქალაქი მუზეუმი მცხეთა - სვეტიცხოვლის და სამთავროს კომპლექსები, მცხეთის ჯვარი, ბებრისციხე, არმაზციხე, პომპეუსის ხიდი, აგრეთვე ზაჰესი, ზედაზნის კომპლექსი, ქსნის ციხე, ნასტაგისის ნამოსახლარი, შიომღვიმის კომპლექსი, ისტორიული სოფლები: დიდგორი, მუხრანი, წილკანი;

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის: საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები - თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი), მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი); შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები - ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაური, ნარეკვავი-მცხეთა-რკინიგზის სადგური (6.4 კმ), ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორის ს/გზის კმ 25 წინარეხი-ქვათახევი, წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამია (20.8 კმ), მცხეთა-შიომღვიმის მონასტერი (11.4), ნატახტარი-წილკანი-მუხრანი (16.1 კმ), ზაჰესი-ჯვრის მონასტერი (6,7 კმ), ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 189.6 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებია, აქ გადის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი, და მდებარეობს ამიერკავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგური - ზაჰესი;

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საწარმო/ქარხნები: სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „ აქვა გეო“, სს „შატო მუხრანი“, შპს „ბარამბო“, სს „ლომისი“, სს „აისი“, სს

„მინა“, შპს „ლოიდლი“, სს „ქართული ლუდის კომპანია“, შპს „ფაბრიკა 1900“, შპს „ფუდ ალიანსი“, შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“, შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“.

მუნიციპალიტეტში მოიპოვება შემდეგი წიაღისეული: ცეოლითი, ქვიშა/ ხრეში (სოფ. ძეგვის, ციხისძირის მიდამოებში); კირქვა (სოფ. სასხორის მიდამოებში); ქვიშა (სოფ. წიწამურის, ნიჩბისის, საგურამოს მიდამოებში); სააგურე თიხა (სასხორის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე); ოქროს შემცვლელი ქვიშები (თეძამის ხეობაში მდ. ბერების ხევიდან მდ. არაგვის შესართავამდე 15 კმ. მანძილზე).

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2025-2028 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2023-2028 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
I. შემოსავლები	**48,603.0**	**43,891.5**	**36,210.9**	**40,188.6**	**45,168.3**	**51,480.3**
გადასახადები	26,336.2	26,824.7	30,030.9	34,038.6	39,048.3	45,310.3
გრანტები	11,299.3	11,258.8	-	-	-	-
სხვა შემოსავლები	10,967.5	5,808.0	6,180.0	6,150.0	6,120.0	6,170.0
II. ხარჯები	**31,729.8**	**40,523.6**	**33,800.8**	**37,147.3**	**38,297.8**	**40,525.3**
შრომის ანაზღაურება	4,910.1	5,652.3	6,352.0	6,352.0	6,352.0	6,352.0
საქონელი და მომსახურება	7,914.4	12,003.7	6,044.2	7,876.0	7,981.5	8,624.0
პროცენტი	45.9	65.0	14.4	10.0	-	-
სუბსიდიები	16,591.1	16,009.2	17,284.5	18,185.6	18,935.6	19,335.6
გრანტები	67.0	142.0	142.0	142.0	142.0	142.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,319.5	1,251.1	1,456.0	1,584.0	1,809.0	1,994.0
სხვა ხარჯები	881.7	5,400.3	2,507.7	2,997.7	3,077.7	4,077.7
III. საოპერაციო სალდო	**16,873.1**	**3,367.9**	**2,410.1**	**3,041.3**	**6,870.5**	**10,955.0**

IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**17,625.5**	**37,934.1**	**2,283.5**	**2,978.3**	**6,870.5**	**10,955.0**
ზრდა	28,026.0	38,864.1	3,183.5	3,778.3	7,470.5	11,455.0
კლება	10,400.5	930.0	900.0	800.0	600.0	500.0
V. მთლიანი სალდო	**- 752.4**	**-34,566.2**	**126.6**	**63.0**	**-**	**-**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 878.1**	**- 34,693.3**	**-**	**-**	**-**	**-**
კლება	**878.1**	**34,693.3**	**-**	**-**	**-**	**-**
ვალუტა და დეპოზიტები	878.1	34,693.3	-	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 125.7**	**- 127.1**	**- 126.6**	**- 63.0**	**-**	**-**
კლება	**125.7**	**127.1**	**126.6**	**63.0**	**-**	**-**
საშინაო	125.7	127.1	126.6	63.0	-	-
სესხები	125.7	127.1	126.6	63.0	-	-
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

2025-2028 წლების შემოსულობების პროგნოზი

2025 წლისთვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 37 110,9 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 36 210,9 ათასი ლარი იქნება, მათ შორის გადასახადების წილი 30 030,9 ათასი ლარი (აქედან დამატებული ღირებულების გადასახადი - 16 030,9 ათასი ლარი, ქონების გადასახადი - 14 000,0 ათასი ლარი), ხოლო სხვა შემოსავლების წილი - 6 180,0 ათასი ლარი.

2025 წლისთვის არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები თანხების მოცულობა შეადგენს 900,0 ათას ლარს.

ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

2023 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა **42 770,4** ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **59 003,4** ათ.ლარი, ანუ გეგმის 138% .

შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა -**42 170,4** ათასი ლარი - ფაქტობრივად **48 603,0** ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 115,3% და მთლიანი შემოსულობების (**59 003,4** ათასი ლარი) - 82% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 26 336,2 ათასი ლარი, შემოსავლების - 48 603.0 ათასი ლარი - 54,2%. 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (21 967,2 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4 369,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული: **ქონებაზე გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 16

137,3 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 13 612,5 ათასი ლარი) შედარებით 2 524,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 11 333,5 ათასი ლარი (2022 წლის ფაქტი 9 370,3 ათასი ლარი), ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 913,7 ათასი ლარი (2022 წლის ფაქტი 733,2 ათასი ლარი), უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადიდან 75,2 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადიდან - 564,9 ათასი ლარი (2022 წლის ფაქტი - 497,0 ათასი ლარი), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადიდან - 3 250,0 ათასი ლარი (2022 წლის ფაქტი - 2 939,1 ათასი ლარი); **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 10 198,9 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 8 354,7 ათასი ლარი) შედარებით 1 844,2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

გრანტების სახით ბიუჯეტში განსაზღვრული 11 931,4 ათასი ლარიდან ჩარიცხულია 94,7% - **11 299,3 ათასი** ლარი, (შემოსავლების 23,2%), მათ შორის: **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან** მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2475 29.12.2022წ.) - 5 836,3 ათასი ლარი; **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან** მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (მთავრობის განკარგულება N1840 16.10.2023 წ.) - 188,0 ათასი ლარი (უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი); **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის (მთავრობის განკარგულება N2476 29.12.2022 წ.) - 846,0 ათასი ლარი; **საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021** წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ (მთავრობის განკარგულება N545 17.03.2023წ.) - 270,0 ათასი ლარი; **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან** (მთავრობის განკარგულება N301 09.02.2023 წ.) - 351,5 ათასი ლარი (სოფ. შანკევანის სასმელი წყლის რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა); **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო** ღონისძიებების განხორციელებისთვის (მთავრობის განკარგულება N116 20.01.2023 წ.) - 2 804,1 ათასი ლარი (სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა, ქ. მცხეთაში, ბებრის ციხის მიმდებარედ, მდ. არაგვის ხეობაში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები; სოფ. ნავდარაანთკარში ნაპირსამაგრების მოწყობა). **მიზნობრივი ტრანსფერი - 1 003,3 ათასი ლარი, მ.შ.:** დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 475.0 ათ. ლარი („საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 249,0 ათასი ლარი და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 226.0 ათასი ლარი) და საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N147 23.01.23წ.) - 528,3 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 7 074,5 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 10 967,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 155%-ია, ხოლო შემოსავლების - 48 603,0 ათასი ლარის - 22,6 %, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 9 637,5 ათასი ლარი) შედარებით 1 330,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ

შორის: პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3 704,9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3 329,3 ათასი ლარი) შედარებით 375,6 ათასი ლარით მეტია. რენტის სახით მობილიზებულია 1 308,0 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1182,1 ათასი ლარი) შედარებით 125,9 ათასი ლარით მეტია, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მობილიზებულია - 1018,0 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 290,0 ათასი ლარი. ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან - 1 710,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1400,0 ათასი ლარი) 122%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 971,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (400,0 ათასი ლარი) 242%-ია, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 3,8 ათასი ლარი, ხოლო დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 735,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1000,0 ათასი ლარი) 74%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (601,3 ათასი ლარი) შედარებით 134,3 ათასი ლარით მეტია. მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 55,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (20.0 ათასი ლარი) 35%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 41,0 ათასი ლარი, შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან -2,8 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 11,3 ათასი ლარი. სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3808,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (2 240,0 ათასი ლარი) 170%-ია და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3 697,7 ათასი ლარი) შედარებით 110,5 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 2 976,9 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 195,9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ჯარიმები - 635,4 ათასი ლარი; ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 380,6 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 148,3 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 2,5 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 79,3 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 150,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 10 400,5 ათასი ლარის შემოსავალი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 13 365,7 ათასი ლარი) შედარებით 2 965,2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 664,1 ათასი ლარი (შენობა-ნაგებობები - 663,4 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები - 0,7 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 48,9 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 9 687,5 ათასი ლარი.

2023 წელს ნაშთის სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 36 886,7 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 878,1ათასი ლარი.

2023 წელს გადასახდელების შესრულების 75%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (74%) მეტია, ხოლო თანხობრივად, 2022 წელთან შედარებით, დახარჯულია 8 815,1 ათასი ლარით მეტი.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები მიიმართა:

◙ **საერთო დანიშნულების** სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 9879,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 130,2 ათასი ლარი) 88,8%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) 16,5%-ს შეადგენს, მათ შორის:

◙ **თავდაცვის** სფეროში დაგეგმილ იქნა 294,0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 291,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,8%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) 0.5%-ს შეადგენს.

◙ **ეკონომიკური საქმიანობის** სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 28 264,1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 19 601,0 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 69,3%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) - 32,8%. მათ შორის:

◙ **გარემოს დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 3 726,9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3 081,3 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 82,7%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) – 5,2%. მათ შორის:

◙ **საბინაო-კომუნალური** მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 15 827,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 9605,7 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 60,7%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) **- 16,1%.** მათ შორის:

◙ **ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 324,3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 324,2 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 99.9%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) – 0,5%. მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 324,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (324,3 ათასი ლარი) 99,9%;

◙ **დასვენების, კულტურის და რელიგიის** სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 7784,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5727,5 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 73,6%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) – 9,6%. მათ შორის:

◙ **განათლების სფეროს დასაფინანსებლად** გეგმა განისაზღვრა 9572,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 9280,4 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 96,9%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) – 15,5მათ შორის:

◙ **სოციალური დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2607,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1964,8 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 75,4%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) - 3,3%. მათ შორის:

2023 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა მთლიანობაში შეადგინა 59 881,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (79657,0 ათასი ლარი) 75.2%-ია. მათ შორის:

- ✓ **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** - 29 206,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (44 091,4 ათასი ლარი) 66,2%-ია;
- ✓ **დასუფთავება და გარემოს დაცვა** - 3 081,3 ათასი ლარით, გეგმის (3 726,9 ათასი ლარი) 82,7%;
- ✓ **განათლება** - 9 280,4 ათასი ლარით, გეგმის (9 572,4 ათასი ლარი) 96,9%;
- ✓ **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 5 727,5 ათასი ლარით, გეგმის (7 784,1 ათასი ლარი) 73,6%;
- ✓ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 2 289,0 ათასი ლარით, გეგმის (2 931,9 ათასი ლარი) 78,1%;
- ✓ **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** - 660,3 ათასი ლარით, გეგმის (947,2 ათასი ლარი) 18,9%.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი გზების მშენებლობაზე, შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, ბორდიურის და ქვაფენილით მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 17 019,2 ათასი ლარი.

სასმელი წყლის სისტემების განვითარების ღონისძიებებზე, არსებულის მოვლა-შენახვაზე, ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 2984,7 ათასი ლარი.

გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციაზე დაიხარჯა 1514,9 ათასი ლარი;

მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაციაზე - 185,6 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე, საზოგადოებრივი სივრცეების (სკვერები და მოსაცდელები) მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე, სადღესასწაულო ღონისძიებებზე, დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობაზე დაიხარჯა 3 233,3 ათასი ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე დაიხარჯა 1705,7 ათასი ლარი;

სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაციაზე, მოვლა-შენახვაზე დაიხარჯა 167,5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებაზე - 658,2 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებაზე - 1737,6 ათასი ლარი.

დასუფთავების და ნარჩენების გატანის, მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობაზე დაიხარჯა - 3081,3 ათასი ლარი;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით რეაბილიტაციის მიზნით მიიმართა 1105,7 ათასი ლარი;

კულტურის და სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით მიიმართა 1759,0 ათასი ლარი.

სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ იქნა 171,6 ათასი ლარი.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები, კერძოდ:

- ✓ მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართა 857,7 ათასი ლარი, დაფინანსდა 1342 ბენეფიციარი;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვაზე მიიმართა 759,1 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 3850 ბენეფიციარს: ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე 16 პირს გაეწია დახმარება ჟანგბადის აპარატით, ცელიაკიით დაავადებულ 5 ბენეფიციარს გაეწია ფინანსური დახმარება; მესამე და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 102 ბენეფიციარზე, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე 2 არასრულწლოვან პირს გაეწია ყოველთვიური ფინანსური დახმარება; ხანძრის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, თავშესაფრის არმქონე 1 ბენეფიციარს გაეწია ბინის ქირით უზრუნველყოფა; 18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 7 ბენეფიციარს გაეწია საკურორტო დახმარება, დღის ცენტრით მოსარგებლე 60 ბენეფიციარს დაუფინანსდა საკურორტო მომსახურება, 36 უსინათლო ბენეფიციარს გადაეცა ხმოვანი, ქართულად მოლაპარაკე სიცხის საზომი აპარატი და გლუკომეტრი, აღდგომის და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით 3600 ბენეფიციარს გადაეცა სასურსათო კალათა;

✓ ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე მიიმართა 100,0 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 772 ბენეფიციარს;

✓ დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე შშმ პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებაზე მიიმართა 45,6 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 24 ბენეფიციარს;

✓ ომის მონაწილე 7 ბენფიციარს და მათ ოჯახებზე მიიმართა 2,3 ათასი ლარი;

✓ ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მზრუნველობამოკლებული და შშმ 40 ბენეფიციარის უფასო სასადილოთი მომსახურების მიზნით (დღეში ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა) მიმართულია 122,5 ათასი ლარი.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 6 თვის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 28 081,8 ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 35 819,9 ათ.ლარი, ანუ გეგმის 127,6 % .

შემოსავლები

2024 წლის 6 თვეში ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 27 151,8 ათასი ლარი, ფაქტობრივად 28 912,6 ათასი ლარით შესრულდა, ანუ გეგმის 106,5%.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 17 274,1 ათასი ლარი, შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლის - 17 135,0 ათასი ლარის - 100,8 %. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (15 891,4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1 382,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 11 129,0 ათასი ლარი: საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადიდან - 10 999,5 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან - 4,8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან - 44,3 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან - 53,1 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან - 27,3 ათასი ლარი;

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (11 056,0 ათასი ლარი) ქონების გადასახადიდან მიმდინარე პერიოდში 73,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება 10 748,3 ათასი ლარი)

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 6 145,1 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4 835,4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1 309,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 6 020,8 ათასი ლარი, მათ შორის:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2402 28.12.2023 წ.) – 5 415,5 ათასი ლარი (დაფინანსდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები მუნიციპალიტეტის სოფლებში: ნიჩბისი, ლისი, არაშენდა, მუხრანი, მისაქციელი, წეროვანი, ძველი ქანდა, საგურამო, ახალუბანი, ნავაზი, წილკან-წეროვნის დამაკავშირებელი გზა);

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2401 28.12.2023 წ.) - **55,0 ათასი ლარი.**

მიზნობრივი ტრანსფერი - 535,2 ათასი ლარი, მათ შორის: ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 135,2 ათ. ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N56 15.01.24წ.) – 400,1 ათასი ლარი;

საერთაშორისო გრანტი (მთავრობის განკარგულება N621 30.04.2024 წ.) - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისგან - „გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში“ - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს ფარგლებში გამოყოფილი გრანტი.

სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლებისათვის** განსაზღვრული 3 996,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 5 617,6 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 141%, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 5 085,0 ათასი ლარი - შედარებით 532,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად მოდის პროცენტებზე, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელზე, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულ შემოსავალზე და სანებართვო მოსაკრებელზე მოდის, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1 819,5 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 692,1 ათასი ლარი) შედარებით 127,4 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 770,8 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (539,9ათასი ლარი) შედარებით 230,9 ათასი ლარით მეტია, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მობილიზებულია - 521,8 ათასი ლარი, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 82,1 ათასი ლარით მეტი), ხოლო მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 249,0 ათასი ლარი (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 148,8 ათასი ლარით მეტი).

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 1 041,2 ათასი ლარი, გეგმის - 856,0 ათასი ლარის - 185%, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 671,2 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (396,7 ათასი ლარი) შედარებით 274,5 ათასი ლარით მეტი.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 31,8 ათასი ლარი.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან - 338,2 ათასი ლარი.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 30,7 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 25,3 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 5,5 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 1 896,9 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის (1 125,0 ათასი ლარი) 169%, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 872,8 ათასი ლარი) შედარებით - 24,1 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 1 546,1 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 72,2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ჯარიმები - 278,6 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 58,5 ათასი ლარი, მათ შორის: ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 22,6 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 1,2 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 11,8 ათასი ლარი, შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 18,7 ათასი ლარი, ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი - 4,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2024 წლის 6 თვეში ჩარიცხულია 6 907,3 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 1 216,8 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 181,8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 5 508,7 ათასი ლარი (მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან - 3 740,4 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 1 768,3 ათასი ლარი).

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წლის 6 თვეში გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 44 292,2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30 292,8 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 68,4%, მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 22 602,0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 17 282,3 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 76,5%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21 627,4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 12 947,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 59,9%.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 62,859 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 62,859 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 100%.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 3 975,3 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (5 384,9 ლარი) 73,8% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (30 229,9 ათასი ლარი) 13,2 %.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 11 318,3 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (16 705,8 ათასი ლარი) 67,8% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (30 229,9 ათასი ლარი) 37,4 %.

გარემოს დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 637,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (1 977,3 ათასი ლარი) 82,8% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (30 229,9 ათასი ლარი) 5,4 %.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4 161,4 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (8 011,3 ათასი ლარი) 51,9% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (30 229,9 ათასი ლარი) 13,8 %.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 163,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (167,1 ათასი ლარი) 98,0% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (30 229,9 ათასი ლარი) 0,5 %.

დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 999,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (4 544,5 ათასი ლარი) 66,0% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (30 229,9 ათასი ლარი) 9,9 %.

განათლების სფეროში საკასო შესრულებამ კი - 4 737,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (5 673,0 ათასი ლარი) 83,5% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (30 229,9 ათასი ლარი) 15,7 %.

სოციალური დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 237,2 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (1 759,4 ათასი ლარი) 70,3% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (30 229,9 ათასი ლარი) 4,1%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

2024 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა მთლიანობაში შეადგინა 30 292,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (44 292,2 ათასი ლარი) 68,4%-ია. მათ შორის:

- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 15 479,7 ათასი ლარით, გეგმის (24 717,1 ათასი ლარი) 62,6%;
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1 637,9 ათასი ლარით, გეგმის (1 977,3 ათასი ლარი) 82,8%;
- **განათლება** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 737,1 ათასი ლარით, გეგმის (5 673,0 ათასი ლარი) 83,5%;
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 999,1 ათასი ლარით, გეგმის (4 550,5 ათასი ლარი) 65,9%;
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1 400,9 ათასი ლარით, გეგმის (1 926,5 ათასი ლარი) 72,7%;
- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 038,2 ათასი ლარით, გეგმის (5 447,8 ათასი ლარი) 74,1%.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი გზების მშენებლობაზე, შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, ბორდიურის და ქვაფენილით მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 7 626,4 ათასი ლარი.

სასმელი წყლის სისტემების განვითარების ღონისძიებებზე, არსებულის მოვლა-შენახვაზე, ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 2 356,9 ათასი ლარი.

გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციაზე - 776,6 ათასი ლარი;

მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაციაზე - 39,2 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე - საზოგადოებრივი სივრცეების (სკვერები და მოსაცდელები) მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე, სადღესასწაულო ღონისძიებებზე, დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობაზე - დაიხარჯა 700,8 ათასი ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე დაიხარჯა 143,0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებაზე - 295,8 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებაზე - 1602,2 ათასი ლარი.

დასუფთავების და ნარჩენების გატანის, მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობაზე დაიხარჯა - 1637,9 ათასი ლარი;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის და რეაბილიტაციის მიზნით მიიმართა 936,0 ათასი ლარი;

კულტურის და სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 1 551,4 ათასი ლარი, მ.შ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე -1 150,8 ათასი ლარი.

სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ იქნა 76,8 ათასი ლარი.

2024 წლის 6 თვეში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები, კერძოდ:

- მოქალაქეებისთვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართა 408,0 ათასი ლარი, დაფინანსდა 771 ბენეფიციარი, მათ შორის, აუტისტური და გონებრივი შეფერხების მქონე 32 ბენეფიციარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვაზე მიიმართა 627,8 ათასი ლარი: მათ შორის, ცელიაკიით დაავადებულ 4 ბენეფიციარს გაეწია ფინანსური დახმარება; მესამე და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 32 ბენეფიციარზე, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე 3 პირს გაეწია ყოველთვიური ფინანსური დახმარება; ხანძრის შედეგად დაზარალებულ 1 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, თავშესაფრის არმქონე 1 ბენეფიციარს გაეწია ბინის ქირით უზრუნველყოფა; 18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 2 ბენეფიციარს გაეწია საკურორტო დახმარება, აღდგომის და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით 1745 ბენეფიციარს გადაეცა სასურსათო კალათა; ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე 6 პირს გაეწია დახმარება ჟანგბადის აპარატით,
- ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე მიიმართა 72,0 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 541 ბენეფიციარს, მათ შორის, ასი და მეტი წლის უხუცესი 1 ბენეფიციარი.
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე შშმ პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებაზე მიიმართა 27,2 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 24 ბენეფიციარს;
- ომის მონაწილე 1 ბენფიციარზე და მათ ოჯახებზე მიიმართა 0,8 ათასი ლარი;
- ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მზრუნველობამოკლებული და შშმ 37 ბენეფიციარის უფასო სასადილოთი მომსახურების მიზნით (დღეში ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა) მიმართულია 63,8 ათასი ლარი.

თავი III. მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა 2025-2028 წლებში

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	მომუშავეთა რიცხოვნობა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	1,506.5	**37,110.9**	**40,988.6**	**45,768.3**	**51,980.3**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	201	**9,416.9**	**9,593.1**	**9,596.2**	**9,713.7**
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	136	**9,555.5**	**12,053.9**	**15,735.5**	**20,465.0**
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	163	**3,093.9**	**4,020.0**	**4,630.0**	**5,180.0**
04 00	**განათლება**	555	**8,533.0**	**8,730.0**	**8,860.0**	**8,960.0**
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა**	416.5	**4,002.0**	**3,962.0**	**4,042.0**	**4,602.0**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	მომუშავეთა რიცხოვნობა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
	და სპორტი					
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	35	**2,509.6**	**2,629.6**	**2,904.6**	**3,059.6**

მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების დაფინანსების მოცულობა

1. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;
2. მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია;
3. მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია;
4. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;
5. მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;
6. მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	9,555.5	12,053.9	15,735.5	20,465.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,473.0	2,339.7	3,029.7	5,000.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,250.0	2,738.6	3,260.8	3,890.0
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,576.0	1,790.0	1,820.0	1,950.0
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	100.0	100.0	100.0	100.0
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	2,690.5	2,455.6	3,290.0	4,725.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	736.0	1,240.0	2,295.0	2,600.0
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	100.0	270.0	270.0	350.0
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	630.0	920.0	1,420.0	1,500.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	-	200.0	250.0	350.0

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 01) - მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას. განხორციელდება არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება, დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება, ტროტუარების, ბორდიურების მოწყობა, გზების

მომდებარე ტერიტორიის გამწვანება, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი;

წყლის სისტემების განვითარება (კოდი 02 02) - წყლის სისტემების განვითარება კვლავ ძირითად პრიორიტეტად რჩება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალმომარაგების არსებული სისტემების მოვლა-პატრონობა, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.

გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია (კოდი 02 03) - მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილების და კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით მნიშვნელოვანია გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია.

მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (კოდი 02 04) - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტი, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება მუნიციპალიტეტის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (კოდი 02 05) - განხორციელდება ხელშეკრულების პირობების მიხედვით 10 (ათი) ერთეული ავტობუსის ღირებულების და ავტობუსების გეგმური ფლობის მომსახურების ანაზღაურება.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 06) - მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება საზოგადოებრივი სივრცეების (სკვერები და მოსაცდელები) და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის კომფორტული გარემოს შექმნა.

სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია (კოდი 02 08) - სარწყავი და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირების მიზნით განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი და სანიაღვრე არხების გაწმენდა;

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (კოდი 02 09) - გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა (კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი გარემოს მდგრადი განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - ღია/სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, მწვანე საფარის გაზრდა, უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტური სისტემის დანერგვა მთელ ტერიტორიაზე.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;
2. მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება;
3. მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები;
4. მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,093.9	4,020.0	4,630.0	5,180.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,775.9	3,700.0	4,300.0	4,500.0
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	238.0	240.0	250.0	600.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	80.0	80.0	80.0	80.0

დასუფთავება და ნარჩენების გატანა (კოდი 03 01) - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტში შემავალი 24 ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებული პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვება და გატანა ქ. კასპის ნაგავსაყრელზე; ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სიგრძის სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის დროს ნიაღვრისაგან ჩამოტანილი ნარჩენებისაგან; ზამთარში, თოვლის გამო, გზებზე ტექნიკური მარილის მოყრა.

მწვანე ნარგავების გაშენება (კოდი 03 02) - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ჩატარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე-მცენარეების გადაბელვა; განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირების გაცელვითი სამუშაოები.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები (კოდი 03 04) - გათვალისწინებულია მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების დეჰელმეტიზაციის (ჭიაზე დამუშავება), დაჭერა-იზოლაციის, სტერილიზაციის, კასტრაციის, ვაქცინაციის (ანტირაბიული) და იდენტიფიკაციის (დანომრილი საჭდის ყურზე დამაგრება) მომსახურების შესყიდვა.

განათლება (04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა–ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;
2. მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;
3. მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	8,533.0	8,730.0	8,860.0	8,960.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	8,283.0	8,480.0	8,600.0	8,700.0
04 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	200.0	200.0	200.0	200.0
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	50.0	50.0	60.0	60.0

სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 04 01) - გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის, სააღმზრდელო დაწესებულებებში

დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 04 03) - გათვალისწინებულია ყოველდღიურად სკოლამდელი ასაკის ბავშვის წაყვანა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში და მათ უკან, სახლში დაბრუნება.

ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა (კოდი 04 04) - გათვალისწინებულია ყოველი სემესტრის ბოლოს საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოთი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)

გათვალისწინებულია კულტურის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებულ სპორტსმენთა (ბავშვები და მოზარდები) სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა;

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;
2. მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;
3. მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;
4. მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4,002.0	3,962.0	4,042.0	4,602.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,960.0	1,920.0	1,970.0	2,510.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,042.0	2,042.0	2,072.0	2,092.0

სპორტის სფეროს განვითარება (კოდი 05 01) - მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.
მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.
პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულია ფეხბურთის, კანოესა და ნიჩბოსნობის, ჭიდაობის, სპორტის სხვადასხვა სახეობის, რაგბის, საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

კულტურის სფეროს განვითარება (კოდი 05 02) - გათვალისწინებულია კულტურის და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, კულტურის დაწესებულებების, მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:
კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა;
მუზეუმების ხელშეწყობა;
რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;
კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გაგრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები და ა.შ. ამასთან, გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა. მათ შორის: მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომლეთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
2. მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;
3. მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;

4. მიზანი 6 - წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,509.6	2,629.6	2,904.6	3,059.6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,249.0	1,369.0	1,549.0	1,649.0
06 02	სოციალური დაცვა	1,260.6	1,260.6	1,355.6	1,410.6

ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01) - გათვალისწინებულია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის - ეკონომიურად გაჭირვებული და სხვა მძიმე ოჯახური პირობების მქონე მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით;

სოციალური დაცვა (კოდი 06 02) - გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, მზრუნველობამოკლებულ პირთა უზრუნველყოფა უფასო კვებით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სხვა სოციალური პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტური მუნიციპალური მომსახურების სისტემის დანერგვის და მუნიციპალური მომსახურების უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ასევე, ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალური არქივი, სასესხო ვალდებულებების მომსახურება (მგფ-ის სესხი) და დაფარვა, წვევამდელთა ტრანსპორტირება, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;
მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;
მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	9,416.9	9,593.1	9,596.2	9,713.7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	8,960.9	9,205.1	9,261.2	9,378.7
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	456.0	388.0	335.0	335.0